სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

თამარ მამნიაშვილი[1]
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციალური სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.19

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურებში ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემები

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია პენიტენციალურ და პრობაციის სამსახურების მიერ მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდისა და მის შემდგომ პერიოდში კონსტიტუციით მათზე გარანტირებული უფლებების დაცვის აუცილებლობა. ხაზგასმულია ის დადებითი ძვრები, რაც ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარეობს და მისი მიზანია სასჯელთა ლიბერალიზაცია; ავტორი ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ეფექტურობაზე. ასევე, მნიშვნელოვან ასპექტადაა მიჩნეული პენიტენციალურ და პრობაციის სამსახურების საქმიანობაში განუხრელად განხორციელდეს არა მარტო საყოველთაოდ აღიარებული დეკლარაციები თუ შეთანხმებები, არამედ ამ მიმართულებით ევროსაბჭოს მინისტერიალის მიერ მიღებული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანები, პენიტენციალური სისტემა, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახური, ადამიანის უფლებათა დაცვა.

[1] **თამარ მამნიაშვილი,** საჯარო მმართველობის დოქტორი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციალური სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

Tamar Mamniashvili[2]
Ministry of Justice of Georgia/Legal Issues Division
of Special Penitentiary Service

Human Rights Protection Issues at Penitentiary and Probation Services

Abstract. The work discusses the necessity of protection of the rights (guaranteed by constitution) of convicted persons during the serving of sentence and post-serving period by penitentiary and probation services. There are underlined the positive moves, those having course in the system of justice of Georgia and the aim of which is liberalization of punishments; author focuses on efficiency of resocialization and rehabilitation of convicted persons. Besides, it is considered as significant aspect that in operation of penitentiary and probation services steadily should be implemented not only generally accepted declarations or agreements, but the recommendations in line with above mentioned issues adopted by Committee of Ministers of Council of Europe as well.

Key words: people, penitentiary system, probation services, penitentiary and probation service, protection of human rights.

ძირითადი კვლევა. სახელმწიფოში ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ. ხელისუფლების თითოეულ შტოს საკუთარი ფუნქციები გააჩნიათ, ისინი ერთი მეორისაგან მკაცრად არიან გამიჯნულნი და არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება, ჩაერიოს ან მიითვისოს რომელიმე შტოს გამგებლობაში მიკუთვნებული ფუნქციები, კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია კანონშემოქმედებითი საქმიანობაა, სასამართლო ხელისუფლება მართლმსაჯულებას ახორციელებს, ხოლო მმართველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივა (ტურავა, 2016: 106). თუმცა საჯარო მმართველობა, როგორც ფუნქცია, ხორციელდება არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, არამედ ის გვხვდება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაშიც.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლით, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების შესახებ და სხვა. კონსტიტუციის მე-9 მუხლში ხაზგას-

[2] **Tamar Mamniashvili**, Doctor of Public Administration. Employee of the Legal Assistance Division of the Special Penitentiary Service of the Ministry of Justice of Georgia.

მულია ისიც, რომ ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა/სასჯელის გამოყენება, აქედან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესი კანონი ადგენს საერთო წესს იმის თაობაზე, რომ ადამიანი მთავარი ღირებულებაა და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკაც მკვეთრადაა გადაჯაჭვული ადამიანის უფლებების დაცვაზე (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფუნქციას წარმოადგენს სასჯელაღსრულების სისტემებსა და პრობაციის სამსახურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა, რომელთა განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, პატიმრობის კოდექსი“, და „დაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონები ითვალისწინებენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს, *სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას,* გარდა იმისა, რომ აქვთ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, ისინი ღრმა ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვენ, რადგან სასჯელი არის დანაშაულის იურიდიული შედეგი (ქეიშვილი, 2014: 14).

სასჯელის მიზნების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისითაც, რაც რეალურად უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, რადგან კანონმდებელმა უარი თქვა მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე და სასჯელის ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის კურსი აირჩია, რამდენადაც სასჯელი დამაშინებელ ეფექტს არ უნდა იძლეოდეს, არამედ მასში, აუცილებელია აისახოს, პოზიტიური კრიმინოლოგიური ასპექტებიც, როგორიცაა სპეციალური პრევენცია, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, სისხლისსამართლებრივი დევნის და ფორმალური სამართალწარმოების ალტერნატივების შექმნით (მაგ: განრიდება, მედიაცია) და ა. შ..

ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიბერალური მართლმსაჯულების პოლიტიკის განხორციელების პროცესში. საქართველოში, წინა წლებისაგან განსხვავებით, 2012 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების მაჩვენებელი (ევროკავშირი საქართველოსათვის, 2018:14), ამ პერიოდიდან არასრულწლოვნების მიმართ სასჯელის სახით, უმეტესად გამოიყენებოდა განრიდება და პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში (საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, 2015), სასჯელები სისტემატიზირებული და დალაგებულია სიმძიმის ზრდის მიხედვით. სსკ-ს 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ „სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას“, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1980 წლის 27 ივნისის რეკომენდაცია „სასამართლო განხილვის განმავლობაში პატიმრობის შესახებ“ (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (80) 11, 1980), რომელიც შემდეგნაირად არის ციტირებული: „სასამართლო საკითხის განხილვისას ყურადღებას მიაქცევს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომლის მიხედვით, პატიმრობა საგამონაკლისო ღონისძიების სახით უნდა გამოიყენებოდეს და არ უნდა იყოს მიმართული დასჯის მიზნების განსახორციელებლად“ (მჭედლიძე, 2017: 51), აღსანიშნავია ისიც, რომ 1997 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროსაბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს რეკომენდაცია მისცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიდან ამოღებული ყოფილიყო არაეფექტური, მოძველებული, არაადამიანურ რეპრესიებთან გაიგივებული სასჯელის ზომები, თუ აღკვეთის ღონისძიებები (დვალიძე, 2013: 38).

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში განსაზღვრულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც სასჯელის მიზნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ სასჯელის თითოეული მიზანი, საბოლოო ჯამში, მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა იწვევდეს. ყოფილ პატიმართა *რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია* კი წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც ხორ-ციელდება *საჯარო სამართლის იურიდიული პირის-დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს* მიერ, რომლის პროგრამების მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გზით დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შემცირება, კერძოდ, ისეთი აქტივობების განხორციელება და მომსახურების შეთავაზება, რომელთა არარსებობა შესაძლებელია ზრდიდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, ხოლო პროგრამების მიწოდება ხელს უნდა უწყობდეს ამავე პირებს რეაბილიტა-ციისა და რესოციალიზაციის სირთულეების დაძლევაში.

რესოციალიზაციის განმარტებისას მნიშვნელოვანია გამოვყოთ თავსართი *„რე“* და ლათინური წარმოშობის სიტყვა *„სოციალიზაცია“*, რაც ნიშნავს: ადამიანის საზოგადოების ნაწილად ქცევას, ადამიანის, ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს, რაც საშუალებას აძლევს მას იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად, ასევე მოიცავს, როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას, აღზრდას, სტიქიურ, სპონტანურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პიროვნების ფორმირებაზე. *რესოციალიზაცია გულისხმობს* დასჯილი ადამიანების სოციალურ ცხოვრებაში – საზოგადოებაში ხელახალ ინტეგრირებას. შესაბამისად, დამნაშავის რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება მოიაზრებს დამნაშავის პიროვნების ისეთ გარდაქმნას, როცა იგი აღარ არღვევს კანონს და პატივს სცემს ადამიანური თანაცხოვრების წესებს, იგი მიზნად ისახავს საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ, პირის ეტაპობრივ ინტეგრაციას საზოგადოებაში პედაგოგიკის, განათლების, ეთიკის, მედიცინისა და ფსიქოთერაპიის მეშვეობით, რაც შეეხება *რეაბილიტაციას, იგი გულისხმობს* განსაზღვრული კონკრეტული შედეგების მიღწევას, პროგრამის მეშვეობით.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია უნდა განხორციელდეს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას, ხოლო რესოციალიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს, როგორც სასჯელის მოხდის პროცესში, ისე სასჯელის მოხდის შემდეგაც, შესაბამისად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პროცესს. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის საქმიანობა მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან ადაპტაციაში; სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს უარყოფითი შედეგების გარეშე, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე, რომელიც ცხოვრებას დანაშაულის გარეშე გააგრძელებს (სულმანიძე, 2010).

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმის წარმოების ერთიანი, გამართული სისტემის შექმნასა და საქმის წარმოების ყველა ეტაპზე კონფიდენციალურობის დაცვას. პირად საქმეში დაცული მონაცემების გაზიარება შესაბამის უწყებებთან შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მკაცრი პროცედურების დაცვითა და ზუსტად განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, ამასთან, მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულებს ჰქონდეთ საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა იმგვარად, რომ არ დაირღვეს სხვა ადამიანე-

ბის კონფიდენციალურობა, მათ ასევე, უნდა ჰქონდეთ უფლება, იდავონ პირადი საქმის ჩანაწერების შინაარსზე (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM|Rec (2010).

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს, რომ პრობაციის ორგანოებმა სრულად უნდა გაითვალისწინონ მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება (გაეროს გენერალური ანსამბლეის N45/ 110 რეზულიცია, 1990). გარდა ამისა, „პეკინური წესები" (გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს №1984/153 გადაწყვეტილება (პეკინის წესები), 1984) განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ ანგარიშის მომზადებას, რაც უნდა გამოიყენებოდეს ზემოქმედების ზომის განსაზღვრისას; კერძოდ, უნდა გამოიკვლიონ გარემო-პირობები, რომლებშიც ცხოვრობს არასრულწლოვანი, ასევე ის გარემოებები, რომლებშიც ჩადენილი იყო სამართალდარღვევა, რათა ხელი შეუწყოს გონივრული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას.

2022 წლის 31 იანვრის მდგომარეობით პენიტენციური დეპარტამენტის მონაცემების შედარების შედეგად, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 389) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 728 573) 0.25% შეადგინა. თუ შევადარებთ 2012 წლის იანვრის მდგომარეობის ანალოგიურ პერიოდს, სტატისტიკური მონაცემები შემდეგი ციფრობრივი მონაცემებით ხასიათდება, 2012 წელს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებული იყო 24 079 პირი, პატიმრობის საერთო რიცხვი (24 079) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (4 469 200) 0,54%-ს შეადგენდა. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ 2012 წლის იანვრის მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა დიდად სჭარბობდა ქვეყნის დღევანდელ მოსახლეობას, მდგომარეობა მართლაც უკიდურესად საგანგაშო ყოფილა.

ამასთანავე, 2012 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში 39 096 პრობაციონერი დაფიქსირდა, ხოლო 2022 წლის შესაბამის პერიოდში, ბევრად ნაკლები სულ 19 369 არაპატიმარი მსჯავრდებული აღირიცხა. რეგიონებს შორის კვლავ მაღალი მაჩვენებლია თბილისში, რომელსაც იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები მოსდევს. არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული.

სამთავრობო პროგრამაში (2022-2024) „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“ დეკლარირებული აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების მიზნის და საერთაშორისო სარეკომენდაციო სტანდარტების შესაბამისად, 2030 წლამდე, იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ეტაპობრივად მოხდება მედიაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2022-2026 წლებში, სააგენტო უზრუნველყოფს მედიატორთა პერსონალის ზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მედიატორთა რეესტრის დანერგვას, მედიაციის სივრცეების მოწყობას და აღდგენითი მართლმსაჯულების ახალი პროგრამების შემუშავება-დანერგვას.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა განრიდების პროგრამების მიღმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა ეტაპებისათვის სისხლის სამართლის მედიაციის დანერგვას, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებას, ასევე საჯარო უწყებებსა და საზოგადოებაში შესაბამისი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფას (გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს №1984/153 გადაწყვეტილება (პეკინის წესები), 1984).

სააგენტომ მიზნად დაისახა ინოვაციური მექანიზმების შექმნა, რომლის საშუალებით პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა ელექტრონული კონტროლი და მათთვის შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობა, დამატებითი ადამიანური რესურსების გარეშე, პრობაციის ოფისებთან ერთად, სხვა შენობებსა და სივრცეებში გახდებოდა შესაძლებელი.

ამ მიზნის განსახორციელებლად, სააგენტომ შექმნა Probbox-ი - პრობაციონერთა ელექტრონული კონტროლისა და სერვისების უზრუნველყოფის ინოვაციური მოწყობილობა, რომელიც 2021 წლის 22 დეკემბრიდან, საპილოტე რეჟიმში, თბილისის, თელავის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის იუსტიციის სახლებში დაინერგა. პირველად ევროპაში, პირობით მსჯავრდებულთა და პირობითად ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა კონტროლი და სერვისების უზრუნველყოფა, პრობაციის ბიუროში გამოცხადებასთან ერთად, თითის ანაბეჭდისა და სახის ამომცნობი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მოწყობილობებით, ალტერნატიულ შენობა-ნაგებობებში გახდა შესაძლებელი.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, 2026 წლის ჩათვლით, Probbox-ის 150 მოწყობილობა, ქვეყნის მასშტაბით, იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრე-

ბსა და მუნიციპალურ შენობებში განთავსდება, რაც შესაბამისი ვალდებულების მოხდის დროს, უზრუნველყოფს პრობაციონერთა ანონიმურობის დაცვას და მნიშვნელოვნად გაზრდის პრობაციონერთა ელექტრონული კონტროლის და მათთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გეოგრაფიულ არეალს (დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022-2026 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა).

ვფიქრობთ, სააგენტოს მიერ პრაქტიკაში დანერგილი ინოვაციური პროექტები, სასიკეთოდ აისახება მსჯავრდებულთათვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

კეკელიძე (1960). კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;

საქართველოს კონსტიტუცია (1995) საქართველოს კონსტიტუცია 24.08 1995. https://matsne.gov.ge/ka/ document/view/30346?publication=36

ტურავა (2016). პაატა ტურავა. საჯარო მმართველობის ცნება. წიგნში საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები. სახელმძღვანელო. გ. ხუბუასა და კარლ-პეტერ ზობერმანის რედაქციით. ტომი 3. „თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა“.

ჭეიშვილი (2014). ნ. ჭეიშვილი. რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი.

ევროკავშირი საქართველოსათვის (2018). პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესში მსჯავრდებულთა (მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების) უფლებრივი მდგომარეობა. თემატური ანგარიში. თბილისი.

არასრულწლოვანთა კოდექსი (2015) საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ 12 ივნისი, 2015.

ესმკ რეკომენდაცია (1980) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (80) 11 „სასამართლო განხილვის განმავლობაში პატიმრობის შესახებ“, 27 ივნისი, 1980.

მჭედლიძე (2017). ნ. მჭედლიძე. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები. თბილისი.

დვალიძე (2013). ი. დვალიძე. სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები), თბილისი.

სულმანიძე (2010). რ. სულმანიძე. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მნიშვნელობა. რეგულირება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით penalreform.Org (blog) /მსჯავდებულის რესოციალიზაცია.

პრობაციის წესები (2010) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM|Rec (2010) „წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ“, 10 იანვარი, 2010.

N45/110 რეზოლუცია (1990) გაეროს გენერალური ანსამბლეის N45/ 110 რეზოლიცია, „არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების სტანდარტული მინიმალური წესები“ (ტოკიოს წესები), წესი 2,3, 14 დეკემბერი, 1990.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.